„ლურჯი ზრდა“ - საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური განვითარებისათვის (გამოწვევები საქართველოსთვის)

კახაბერ ბილაშვილი[1], ვალერიან მელიქიძე[2], ვაჟა ტრაპაიძე[1], გიორგი მელაძე[1]

ელ.ფოსტა: kakhaber.bilashvili@tsu.ge;

[1]გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

[2]საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცმიერებათა ფაკულტეტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #14, 0179 თბილისი

ეკონომიკის განვითარების ევროპული მოდელი წარმოადგენს ახალ გლობალურ ტრენდს რომელიც, ლურჯი ეკონომიკის სახელით არის ცნობილი. აღნიშნული მოდელის საზღვაო კომპონენტს შეადგენს ევროგაერთიანების სამოქმედო დღის წესრიგი სახელწოდებით ლურჯი ზრდა (Blue Growth) რაც ითვალისწინებს საზღვაო რესურსების მდგრად გამოყენებას ეკონომიკური განვითარებისათვის და მართვის ინოვაციური მეთოდების საშუალებით ეკოლოგიური და კლიმატური ცვლილებების შედეგების შერბილებას. 2014 წელს ევროკომისიამ მიიღო ე.წ. მდგრადი ლურჯი განვითარების ანუ ზრდის დღის წესრიგი, რომელიც განიხილავს და აფასებს საზღვაო ეკონომიკის პოტენციალს. იმავე წელს ევროკომისიამ ჩაატარა შავი ზღვის ლურჯი განვითარების პოტენციალის სტრატეგიული შეფასება.

ლურჯი ზრდის პრიორიტეტებია: საზღვაო ენერგეტიკა, აქვაკულტურა, საზღვაო და სანაპირო ტურიზმი, ნარჩენების მართვა და მინერალური რესურსების ათვისება, ბიოტექნოლოგია და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი პრიორიტეტები ემთხვევა საქართველოს ეკონიმიკური სტრატეგიის ვექტორებს.

ლურჯი ეკონომიკის ქვაკუთხედია საზღვაო ცოდნაზე დაფუძვნებული კვლევა რაც უზრუნველყოფს საზღვაო საქმიანობის მდგრად მართვას ეკოლოგიურ და ეკონომიკური პრობლემატიკიდან გამომდინარე. თავის მხრივ, ეკოსისტემური მიდგომა, საფუძვლად უდევს ევროპის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივას (MSFD), რომელიც შეიქმნა ზღვის გარემოს მდგომარეობის ე.წ. კარგი სტატუსის (Good Environmental Status – GES) უზრუნველსაყოფად.

საზღვაო სექტორის განვითარების ახალი ინიციატივები, შავი ზღვის გარემოს თანამედროვე მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია და მიმდინარე სამეცნიერო კვლევები მოწოდებულია მოწოდებულია ხელი შეუწყოს ასოცირებულის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლიმენტაციას საქრთველოში.